საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7981/01
20/08/2020

7981-01-2-202008200939

**შპს „სოფმარ 2020"-ს**

**მის:** ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა) ნაკვეთის შიდა № 311

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 ივლისის N11313 წერილი, რომელიც ეხება სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატების დროებით შენახვა-დახარისხება და გადატვირთვასთან დაკავშირებით კომპანიის მოსაზრებებს და პოზიციებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შპს „სოფმარ 2020"-ის მიერ მიმდინარე წლის 3 ივლისს სამინისტროში წარმოდგენილი იყო ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება. ვინაიდან, ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვა, დახარისხება და გადატვირთვა არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნული კონცენტრატები წარმოადგენს ქიმიურ ნივთიერებას/პროდუქტს, სამინისტროს 2020 წლის 8 ივლისის N6387/01 წერილით გეცნობათ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით შესაბამისი დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე. თქვენ მიერ წარმოდგენილი წერილით სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონის კონცენტრატები არ წარმოადგენს ქიმიურ ნივთიერებას/პროდუქტს და მიიღება სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების გზით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ მიუხედავად იმისა, რომ სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები მიიღება გამდიდრებით-ფლოტაციით, აღნიშნული პროდუქტები შესაძლოა წარმოადგენდეს ქიმიურ ნაერთს მისი შემადგენლობიდან გამომდინარე. შესაბამისად დეტალურ განმარტებას და შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს აღნიშნული კონცენტრატების შემადგენლობა.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე